

ნინო ლაპიაშვილი

სწავლის შედეგების შეფასება სწავლების მესამე საფეხურზე:
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ეკონომიკური მეცნიერებების სადოქტორო პროგრამის გამოცდილება

სტატიის მოკლე მიმოხილვა

სტატია მიზნად ისახავს წვლილი შეიტანოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლების მესამე საფეხურზე²⁸ ხარისხის უზრუნველყოფის შესახებ მიმდინარე დისკუსიაში. კერძოდ, კვლევა მიმოხილავს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკური კვლევების ინსტიტუტის ინტერდისციპლინური სადოქტორო პროგრამის განხორციელების ხუთწლიან გამოცდილებაზე დამყარებულ, სწავლის შედეგების შეფასების თვალსაზრისით ერთგვარ ახლებურ მიდგომას, რომელიც შემუშავებულია განახლებული ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს გათვალისწინებითა და სტრუქტურული რეაქრედიტაციის მზადების დროს ახალ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფისთვის გადადგმული ნაბიჯებიდან გამომდინარე და აპროვოცირებს პროგრამის ხარისხობრივი, სტრუქტურული, შინაარსობრივი მახასიათებლებისა და ადმინისტრირების მხრივ გაუმჯობესების საკმაოდ კომპლექსურ, თუმცა, შედეგის მიხედვით, ცალსახად პოზიტიურ პროცესს.

პროგრამის თვითშეფასების ასპექტების მიმოხილვის შემდეგ, მეორე თავში ხაზგასმულია, რომ სადოქტორო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ერთ-ერთი მთავარი ინდიკატორი არის სადისერტაციო ნაშრომი. თუმცა, რადგანაც სადისერტაციო ნაშრომის წარმოდგენა ხდება პროგრამის დასკვნით ფაზაში, მნიშვნელოვანია, დინამიკაში მოხდეს დისერტაციის მიღმა სასწავლო კომპონენტების შედეგების ეფექტური შეფასებაც, მთელი პროგრამის მიმდინარეობის განმავლობაში. გარდა იმისა, რომ შეფასება უნდა იყოს ვალიდური, სანდო და გამჭვირვალე, აუცილებელი ხდება ამ პროცესში მონაწილეობდეს პროგრამაში ჩართული ყველა დაინტერესებული მხარე. სწავლის შედეგების შეფასების მიზანი არის პროგრამის სრულყოფა და გაუმჯობესება, ასევე, დოქტორანტისთვის ეფექტური და ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული სასწავლო და კვლევითი პროცესის უზრუნველყოფა. სწავლის შედეგების შეფასების მეთოდები მრავალფაზიანია და მოითხოვს აკადემიური პერსონალისა და ადმინისტრაციის ერთგვარ მართონული რბოლის პროცესში შესვლას. აღნიშნული მიდგომა სწავლის შედეგების შეფასების გეგმაში აისახა, რომლის თანახმად განისაზღვრა, რომ:

- a. უნდა მოხდეს სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვიდან მეორე სემესტრის დასრულებისთანავე გამომუშავებული, დაზუსტებული და განახლებული კვლევითი პროექტის (კვლევითი პროექტი/Research

²⁸ Boud, David, and Alison, Lee. (2008). *Changing Practices of Doctoral Education*. Routledge; Sabic, Norbert. (2014). *Comparative Analyses of Doctoral Education in Europe*. *Annals of the University of Bucharest/ Political Science Series*, 16(1), 129-147; Sunrock, Andree, and Hanne, Smidt. (2010). *Trends 2010: A Decade of Change in European Higher Education*. Brussels: European University Association; EUA. (2007). *Bologna Seminar on Doctoral Programmes for the European Knowledge Society, Conclusions and Recommendations*. Salzburg, 3-5 February 2005 available at <https://eua.eu/downloads/publications/salzburg%20recommendations%202005.pdf>, (last visited in April 2019). Bergen Communiqué (2005). *The European Higher Education Area – Achieving the Goals*. Communiqué of the Conference of European Ministers Responsible for Higher Education, Bergen, 19-20 May 2005; European Commission (2011). *Report of Mapping Exercise on Doctoral Training in Europe “Towards a Common Approach”*. Brussels, 27 June 2011; EUA (2010). *Salzburg II Recommendations*. European Universities’ Achievements since 2005 in Implementing the Salzburg Principles. Brussels: EUA; European Commission (2011). *Report of Mapping Exercise on Doctoral Training in Europe “Towards a Common Approach”*. Brussels, 27 June 2011; Caspersen, Joakim & Smeby, Jens-Christian & Aamondt, Per Olaf. (2017). *Measuring Learning Outcomes*, *European Journal of Education*, Volume 52, Issue 1, pp. 20-30.

proposal არ არის სადისერტაციო ნაშრომის შემადგენელი სამეცნიერო კვლევითი პროექტი, არამედ ერთგვარი სტრუქტურირებული კვლევითი გეგმა, რაც დოქტორანტს ეხმარება მომავალში სადისერტაციო ნაშრომის დაწერაში) წარმოდგენა; ამ პროცესში როგორც დამოუკიდებელი ავტონომიური მიდგომის დემონსტრირება, ასევე, სამეცნიერო ხელმძღვანელთან კოორდინაციის და სამუშაო პროცესში მიღებული მითითებების გათვალისწინება/ინტეგრაცია. კომპონენტის შეფასებას ახდენს სადოქტორო პროგრამის აკადემიური პერსონალისგან შემდგარი საბჭო.

- ბ. უნდა განხორციელდეს პირველ სემესტრში შეთავაზებული კურსების სწავლის შედეგების ფაქტობრივად გამოყენების დემონსტრირება განახლებულ კვლევით პროექტში; კომპონენტის პროგრესის ანალიზს ახდენს კურსის ხელმძღვანელი დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელთან ერთად და შედეგებს წარუდგენს სადოქტორო პროგრამის აკადემიური პერსონალისგან შემდგარ საბჭოს, დოქტორანტისთვის რეკომენდაციების გაცემის მიზნით.
- გ. პირველ და მომდევნო სემესტრებში შეთავაზებული კურსების სწავლის შედეგები შეფასდება პირდაპირი შეფასების მეთოდებით. კერძოდ, როგორც შუალედური და ფინალური გამოცდებისა თუ სწავლის შედეგების მიღწევის სილაბუსებით განსაზღვრული მეთოდების შეფასების მეშვეობით, ასევე, საგანგებოდ ამ მიზნისთვის შედგენილი ქვიზებით, რომელსაც აკადემიური პერსონალი ჩაატარებს პერიოდულად სტუდენტთა მოსწრების, სწავლის შედეგების მიღწევისა და კურსის მიზნებიდან გამომდინარე კონკრეტული სამიზნე ნიშნულების გადალახვის დინამიკის გასაანალიზებლად. ქვიზში სტუდენტის მიერ მიღებული შედეგი საბოლოო შეფასებაში შესაძლებელია არ შევიდეს, როგორც კომპონენტი, თუმცა, ის იქნება მნიშვნელოვანი ინდიკატორი კურსის ხელმძღვანელისთვის სწავლების პროცესში გამოვლენილი სუსტი და ძლიერი მხარეების გასაანალიზებლად და მიმდინარე სასწავლო,- თუ კვლევითი პროცესის საჭიროებებთან შესაბამისობაში მოსაყვანად. ანალიზის შედეგს და დოქტორანტთა ჯგუფის პროგრესის დინამიკას ყოველი კურსის ხელმძღვანელი კურსის დასრულების ბოლოს წარუდგენს სადოქტორო პროგრამის აკადემიური პერსონალისგან შემდგარ საბჭოს.
- დ. კურსების „აკადემიური წერა“, ასევე „კვლევის დიზაინი და სოციალური კვლევის მეთოდები“ სწავლის შედეგების გაზომვა პირველ ეტაპზე უნდა მოხდეს სასემინარო ნაშრომების შესრულების ხარისხის ნიშნულით, ხოლო მომდევნო ეტაპზე დისერტაციის ცალკეული თავების (სამეცნიერო-კვლევითი პროექტი, მაგალითად, ლიტერატურის მიმოხილვა და თეორიულ-კონცეპტუალური ჩარჩო), ასევე, სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობისას მიღებული შედეგების შეფასების განზოგადოებისა და ანალიზის საფუძველზე, რომელიც ამ მიზნით წარედგინება სადოქტორო პროგრამის აკადემიური პერსონალისგან შემდგარ საბჭოს.
- ე. კურსის „სწავლების მეთოდები“ სწავლის შედეგების გაზომვა მოხდება პროფესორის ასისტენტობის სხვადასხვა კომპონენტში მიღებული შედეგების ანალიზის საფუძველზე.
- ვ. კურსების „ევროკავშირისა (სუპრანაციონალური) და გაეროს (უნივერსალური) - საერთაშორისო ორგანიზაციების შედარებითი ანალიზი,“ „ევროპის ეკონომიკა“ და „ევროკავშირის სამართალი“ სწავლის შედეგების გაზომვა მოხდება ამ კურსების ფარგლებში შესრულებული კვლევითი კომპონენტებით (მაქსიმუმ 2500 სიტყვა). სამიზნე ნიშნული განსაზღვრულია, როგორც ნაკადის 35%-ში მაინც საბოლოო შეფასება მინიმუმ 81-90 ქულით (B).
- ზ. სწავლის შედეგების შეფასება მოხდება არაპირდაპირი მეთოდის გამოყენებითაც. სპეციალური კითხვარის მეშვეობით ჩატარდება სტუდენტთა გამოკითხვა, როგორც ყოველი სასწავლო კურსის მიზნებისა და სწავლის შედეგების ურთიერთმიმართების შეფასების, ასევე, კურსისა და პროგრამის კორელაციის შეფასების მიზნითაც.
- თ. სწავლის შედეგების შეფასების ერთ-ერთი არაპირდაპირი მეთოდი იქნება დამსაქმებლის გამოკითხვა სათანადოდ შემუშავებული კითხვარის მეშვეობით; გამოკითხვის შედეგები გასაანალიზებლად წარედგინება სადოქტორო პროგრამის აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალისგან შემდგარ საბჭოს.
- ი. სწავლის შედეგების შეფასების მნიშვნელოვანი მექანიზმი იქნება დოქტორანტურის მე-3 და მომდევნო სემესტრებში რეფერირებად და რეცენზირებად ადგილობრივ (ორენოვანი ევროპისმცოდნეობის ქართული ჟურნალი ISSN 2346-7827) თუ საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალებისთვის სასემინარო ნაშრომების წარმოდგენა. სასემინარო ნაშრომების შეფასება ხდება სამეცნიერო ხელმძღვანელის მიერ, თუმცა, ამ კომპონენტში კრედიტის დაგროვება არ იქნება სწავლის შედეგის განმსაზღვრელი. ერთადერთი სამიზნე ნიშნული, რომელთანაც შესაძლებელია მოხდეს შედეგის შედარება პროგრამის

ფარგლებში, არის რეფერირებად და რეცენზირებად ადგილობრივ თუ საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალებში გამოქვეყნებადი სასემინარო ნაშრომების წარმოდგენა, რაზეც რეკომენდაცია გაიცემა როგორც სამეცნიერო ხელმძღვანელის, ასევე ევროპისმცოდნეობის სადოქტორო პროგრამის ბაზაზე შექმნილი ორენოვანი სამეცნიერო ჟურნალის სარედაქციო კოლეგიის მიერ (ლოკალურად), ხოლო საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალებში მათი რედაქციის მიერ დადგენილი პროცედურების შესაბამისად.

კ. პროფესორის ასისტენტობის კომპონენტის შეფასების მექანიზმი არის პროფესორის კმაყოფილების კვლევა, რომელსაც იკვლევს ინსტიტუტის ადმინისტრაცია და შედეგებს გასაანალიზებლად წარუდგენს ინსტიტუტის აკადემიური პერსონალისგან შემდგარ სამეცნიერო საბჭოს.

ლ. სწავლის შედეგების შეფასება ასევე მოხდება დოქტორანტის მიერ საერთაშორისო გარემოში კონფერენციებისა და სამუშაო შეხვედრების შეფასებით.

მ. სადოქტორო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ერთ-ერთი მთავარი ინდიკატორი არის სადისერტაციო ნაშრომი. თითოეული ნაკადიდან დაცვის რაოდენობრივი სამიზნე ნიშნული შესაძლებელია იყოს მხოლოდ პირობითი, გარე ფაქტორებზე კონტროლის მექანიზმის არარსებობის გამო (პირობითად 25%-30% ფარგლებში თითოეული ნაკადიდან). ხელშესახებ ნიშნულად განისაზღვრა დაცული სადისერტაციო ნაშრომების მინიმუმ 25%-ის შეფასება საბოლოო შედეგით მინიმუმ magna cum laude/ ძალიან კარგი (შედეგი, რომელიც ნაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება, 81-90 ქულა, B).

საბოლოო ჯამში, სწავლის შედეგების შეფასების ზემოთ აღნიშნული მიდგომა ტოვებს ვარაუდის საფუძველს, რომ ევროპისმცოდნეობის ინტერდისციპლინური სადოქტორო პროგრამა არათუ არსებულ მიღწევებს შეინარჩუნებს, არამედ ერთგვარ საეტაპო საფეხურზე გადავა. ხოლო, რაც ყველაზე მთავარია, დოქტორანტები გააუმჯობესებენ თავიანთი მოსწრების დონეს. ასევე, პროგნოზირებადია, რომ მომდევნო წლების განმავლობაში თსუ-ში ევროპული კვლევების ინსტიტუტის ევროპისმცოდნეობის სადოქტორო პროგრამისთვის შემუშავებული შეფასების მექანიზმი არა მხოლოდ აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის გუნდური სულისკვეთების განვითარებას შეუწყობს ხელს, არამედ წარმოშობს ახალ იდეებს, შემოიტანს მეტ სიცხადეს და გაზრდის საერთო პასუხისმგებლობის გრძნობას, რაც ცალსახად, ხარისხის უზრუნველყოფის სანდო გარანტიას წარმოადგენს. ამ თვალსაზრისით თუ მივუდგებით, სადოქტორო პროგრამის განხორციელებაში ჩართულმა პერსონალმა ყოველი მომდევნო რეაქრედიტაციისგან გამონვეული სტრესი შესაძლებელია გადააფასოს და ზემოდან თავსმოხვეული დამღლევი ბიუროკრატიული პროცესის ნაცვლად არსებითი წინსვლისა და განვითარების ხელშესახები პერსპექტივებიც დაინახოს.

საკვანძო სიტყვები: ევროპისმცოდნეობა, სადოქტორო პროგრამა, შეფასება, სწავლის შედეგები, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი